იჯარის ხელშეკრულება სადგური N

ქ. თბილისი 01 აპრილი 2026 წელი

ერთი მხრივ, შპს „ელსადგური“ (ს/ნ 405747063), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოდერძი მამალაძის (პ/ნ 01026015571) სახით, შემდგომში წოდებული, როგორც „მეიჯარე“, და მეორე მხრივ სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212674738; წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის, თამარ შაგიძის მიერ, შემდგომში წოდებული, როგორც „მოიჯარე“ და ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ვთანხმებით შემდეგ პირობებზე:

ტერმინთა განმარტებები

ტერმინთა განმარტებები

ა) **მეიჯარე** - პირი, რომლის საკუთრებაში ან/და მარლთზომიერ მფლობელობაშია მზის მიკრო ელ-სადგური და მას გადასცემს მოიჯარეს იჯარით ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ბ) **მოიჯარე** - პირი, რომელიც მზის მიკრო ელ-სადგურს იღებს სარგებლობაში და სანაცვლოდ იხდის იჯარის თანხას;

გ) **ელექტროსადგური (იჯარის საგანი)** - 500 კვტ მიკრო სიმძლავრის მზის ელექტროსადგური, რომელიც ჩართულია ნეტო აღრიცხვაში,

დ) **მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური** – ელექტროენერგიის წარმოების ობიექტი, რომელიც იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროს (მზის ენერგიას) და უკავშირდება ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელს;

ე) **ნეტო აღრიცხვა** - მზის ელ-სადგურის შიდა ან გამანაწილებელ ქსელზე მიერთება, მზის ელ-სადგურის მიერ გამომუშავებული ელ-ენერგიის პირდაპირი მოხმარება ან ქსელისთვის მიწოდება და განაწილების ლიცენზიანტთან დადებითი ბალანსის დაფიქსირება;

ვ) **ვირტუალური ნეტო აღრიცხვა** - საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფის მფლობელობაში არსებული, ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის მიერ გენერირებული ელექტროენერგიის ჩათვლა შესაძლებელია საცალო მომხმარებელთა ჯგუფის წევრების (მოიჯარეებზე) აბონენტებზე დარიცხვით;

ზ) **განაწილების ლიცენზიანტი** - სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;

თ) **გამანაწილებელი ქსელი** - სს „ენერგო-პროს ჯორჯია“-ს ქსელი;

ი) **ნეტო აღრიცხვის მრიცხველი** - განაწილების ლიცენზიანტის მიერ დაყენებული ჭკვიანი მრიცხველი, რომელიც აღრიცხავს ქსელიდან მიღებულ და ქსელში გაცემულ ელ-ენერგიას.

1. საიჯარო ქონება და ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „საიჯარო ქონება“-ს წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებაში არსებული მზის ელ-სადგური, რომლის სიმძლავრეა 500 კვტ და რომელიც განთავსებულია მეიჯარის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე რომლის საკადასტრო კოდია **სადგური №03.01.22.324** და რომელსაც შეუძლია წლიურ ჭრილში გამოიმუშაოს 850 000 კვტ.სთ მდე.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მეიჯარემფლობელობაში გადასცემს მოიჯარეს მიკრო სიმძლავრის მზის ელ-სადგურს რომელიც მოცემულია დანართ N1-ში და რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებისა და პირობების შესაბამისად, მეიჯარე იჯარით გადასცემს მოიჯარეს ამავე მუხლის 1.1. პუნქტში მითითებულ საიჯარო ქონებას, კომერციული მიზნით, რისთვისაც მოიჯარე მეიჯარეს გადაუხდის ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო თანხას.

2. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

2.2. მეიჯარე მოიჯარის მიერ გაცემული შესაბამისი უფლებამოსილების (მინდობილობის) დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე საკუთარი ხარჯით ამავე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ მომხმარებელთა ჯგუფისთვის უზრუნველყოფს განაწილების ლიცენზიატთან (სს "ენერგო-პრო ჯორჯია") სათანადო განაცხადის წარდგენას საიჯარო ობიექტის, როგორც მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურის სტატუსის მქონე ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოების დასაწყებად და დანართ #1 ში მითითებული ობიექტების მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურის მომხმარებელთა ჯგუფში ჩასართავად.

2.3. მოიჯარის კუთვნილ ან/და მარლთზომიერ მფლობელობაში არსებულ ობიექტზე რომელიც განსაზღვრულია #1 დანართით, ჭკვიანი მრიცხველების განაწილების ქსელზე დაერთების ხარჯების ანაზღაურებას სრულად უზრუნველყოფს მოიჯარე.

2.4 მოიჯარე პასუხმგებელია დანართი #1-ში მითითებული ობიექტის ირგვლივ მიწოდებული ყველა ინფორმაციის სისრულეზე და სიზუსტეზე. ამასთან წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შესაბამისი მონაცემების ცვლილება (სიმძლავრის გაზრდა, ობიექტის ამოღება, ახალი ობიექტის დამატება და ა.შ) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მეიჯარის ინფორმირების და შესაბამის დანართში ცვლილების შეტანის შემდეგ.

2.5. მოიჯარის მოთხოვნა დანართი #1 -დან ობიექტის ამოკლების ან/და დამატების თაობაზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ (ექსკლუზიურად) მეიჯარის მიერ, ამ უკანასკნელზე გაცემული შესაბამისი მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე. ამ დავალების შესრულება ნებისმიერი სხვა პირის (მათ შორის მოიჯარის) მიერ, ან ასეთის მცდელობა წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევას რასაც შეიძლება მოყვეს ხელშეკრულების შეწყვეტა.

2.6. მიუხედავად ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალაში შესვლისა, მხარეები თანხმდებიან, რომ იჯარის თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა შესაბამის განაწილების ლიცენზიანტთან ამავე მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული მცირე სიმძლავრის ჯგუფში ჩართვის განაცხადის დაკმაყოფილების შემდეგ.

3. ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების დარღვევის შედეგები

3.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეების მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულებამდე.

3.2. საიჯარო ურთიერთობა გრძელდება მისი დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში და ავტომატურად გაგრძელდეა ყოველ ჯერზე იმავე ვადითა და პირობებით თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე მხარეების არ შეთანხმდებიან მის შეწყვეტაზე.

3.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- მხარეთა შეთანხებით;
- რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლით.
- საიჯარო ურთიერთობის ვადის ამოწურვით.

3.4. ორივე მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან თუ:

- მეორე მხარის მიერ ხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატური დარვევა.
- მეორე მხარის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.
- მოიჯარე გადააცილებს საიჯარო თანხის ან/და მასზე დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდას ერთი თვით.
- თუ გასვლამდე 1 თვით ადრე წერილობით გააფრთხილებს მეორე მხარეს, ასეთ შემთხვევაში არცერთ მხარეს არ დაეკისრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და სხვა დამატებითი ვალდებულებების შესრულება.

3.6. ხელშეკრულებიდან გასვლა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით მეორე მხარისთვის მიმართვით და მასში აღნიშნული უნდა იყოს გასვლის მიზეზი.

3.7. ხელშეკრულებიდან გასვლისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სხვა სახის უფლებები.

3.10. იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ნეტო აღრიცხვის რეგულაცია ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ამ ცვლილებამ გამოიღო უარყოფითი შედეგი ერთ-ერთი მხარისთვის, მხარეები ვალდებულნი არიან სახელშეკრულებო ურთიერთობა მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს, რათა დაბალანსდეს ორივე მხარის ინტერესი. ასეთ შემთხვევაში, თუ ცვლილების გამო ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამართლებრივ ურთიერთობაში დარჩენა აზრს კარგავს მოიჯარისთვის ან მეიჯარისთვის, მხარეები უფლებამოსილნი არიან სამთვიანი ვადის დაწესებით და წინასწარი შეტყობინების საფუძველზე უარი თქვან ხელშეკრულებაზე.

4. იჯარის თანხა და გადახდის პირობები

4.1. იჯარის საფასურის (დღგ-ს ჩათვლით) გამოანგარიშების მეთოდი:

იჯარის საფასური გამოიანგარიშება საიჯარო ობიექტის მიერ კონკრეტული y წლის m კალენდარული თვის განმავლობაში წარმოებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$MA_{y/m} = GE_{y/m} \times P_{y/m}$

4.2. სადაც:

ა) $MA_{y/m}$ - წარმოადგენს იჯარის საფასურს (ლარი) კონკრეტული y კალენდარული წლის m კალენდარული თვისთვის, დღგ-ს ჩათვლით

ბ) $GE_{y/m}$ - წარმოადგენს საიჯარო ობიექტის მიერ კონკრეტული y კალენდარული წლის m კალენდარული თვის პირველი კალენდარული დღის 00:00 სთ-დან იგივე კალენდარული თვის ბოლო კალენდარული დღის 24:00 სთ-ის ჩათვლით პერიოდში გამომუშავებული და ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობას (კვტსთ), იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგიის ეს რაოდენობა არ შეიცვლება და სრულად აესახება მოხმარების ობიექტს სააბონენტო ბალანსზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხმარების ობიექტები არ მოიხმარენ საჭირო რაოდენობის ელექტროენერგიას;

გ) $P_{y/m}$ - წარმოადგენს ფასის სიდიდეს (თეთრი/კვტსთ), კონკრეტული y კალენდარული წლის m კალენდარული თვისთვის, დღგ-ს ჩათვლით, ამასთან „$P_{y/m}$"-ის კონკრეტული სიდიდე განისაზღვრება როგორც:

Py/m = საიჯარო ობიექტზე არსებული დენის **კომერციული ტარიფის 12 პროცენტიანი** ფასდაკლებით, (რაც შეადგენს - **0.30475 ლარს,** დღგ-ს ჩათვლით)

4.3. საიჯარო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

4.4. მხარეთა შორის შეთანხმებული გადახდის ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოიჯარეს პირგასამტეხლოს სახით დააკისროს გადაუხდელი თანხის 0,001%-ის ოდენობით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობით შეატყობინებს "მოიჯარეს" აღნიშნულის თაობაზე და განუსაზღვრავს დაგვიანების აღმოფხვრისთვის მინიმუმ 30 დღის ვადას. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, ,,მოიჯარისათვის" პირგასამტეხლოს დარიცხვა დაკისრება განხორციელდება მოცემული დამატებით განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდგომ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები

5.1. მეიჯარე უფლებამოსილია:

5.1.1. მოიჯარეს მოსთხოვოს საიჯარო ქირის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად გადახდა;

5.1.4. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ერთი თვის მანძილზე გადაუხდელობის შემთხვევაში, დაიბრუნოს საიჯარო ქონება და შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა.

5.2. მეიჯარე ვალდებულია:

5.2.2. მეიჯარე ვალდებულია მზის ელ-სადგურის ტექნიკურ ოპერირება-ექსპლუატაციაზე. მან უნდა უზრუნველყოს მისი გამართულად მუშაობა საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში, ასევე მეიჯარემ უნდა უზრუნველყოს მზის ელ-სადგურის გამართულად ფუნქციონირება და მისი კანონმდებლობის შესაბამისად ექსპლუატაცია.

5.2.3. მეიჯარე ვალდებულია, მოიჯარეს თვეში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია მზის ელ-სადგურის ტექნიკური გამართულობის შესახებ.
5.2.4. მეიჯარე ვალდებულია მზის ელ-სადგურის ოპერირება დაუშვას საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული ტექნიკური სტანდარტების დაცვით.
5.2.5. რაიმე ტექნიკური პირობის, ან სტანდარტის შეცვლა იმგვარად, რომ იგი წინააღმდეგობაში მოვიდეს საქართველოს კანონმდელობითა და საუკეთესო პრაქტიკით განსაზღვრულ სტანდარტებთან მიმართებით დაუშვებელია.
5.2.6. მეიჯარე განუმარტავს მოიჯარეს მზის ელ-სადგურის მუშაობის პრინციპს, მეიჯარის მოვალეობებს სადგურის მართვისას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სადგურის გამართული მუშაობა.
5.2.7. მეიჯარე ვალდებულია მზის ელ-სადგური ოპერირება მოახდინოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს მეიჯარის კუთვნილი მზის ელ-სადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოება შეფერხებების გარეშე.
5.2.8. მეიჯარე ვალდებულია ზუსტად აღრიცხოს მზის ელ-სადგურის გამომუშავება თვის განმავლობაში. ამ მიზნით, ის ვალდებულია, უზრუნველყოს მზის ელ-სადგურის სააღრიცხვო კვანძის წვდომა ინტერნეტთან და შესაბამისად პლატფორმის საშუალებით აღრიცხოს მზის ელ-სადგურის მიერ გამომუშავებული კვტ.სთ-ების ოდენობა თვის განმავლობაში. აღნიშნული მონაცემები ღია და ხელმისაწვდომია როგორც მეიჯარისთვის, ასევე მოიჯარისთვის.
5.3. მეიჯარის მზის ელ-სადგურის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები:
5.3.1. მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს მზის ელ-სადგურის გამართული ფუნქციონირება და სადგურის ექსპლუატაციის პერიოდში გაწიოს მისი მონიტორინგი. მონიტორინგი ხორციელდება ყოველკვირეულად მზის ელ-სადგურის ადგილზე, თუ მონიტორინგის პორტალზე დაკვირვებით და საჭიროების შემთხვევაში ობიექტის ინსპექტირებით.
5.3.2 მეიჯარე ვალდებულია მისცეს მოიჯარეს რეკომენდაციები იჯარის საგნის სარგებლობასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ მოიჯარის მოქმედებები სრულ შესაბამისობაში იყოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და არ გამოიწვიოს ზარალი.
5.3.4. მეიჯარე სრულიად პასუხისმგებელია ტექნიკურ უსაფრთხოებასა და მუშების (სამუშაოებში ჩართული პირების) შრომის პირობების დაცვაზე/უსაფრთხოებაზე.
5.3.5. მხარეთა შორის შეთანხმებული პირობებით სადგურით სარგებლობის 30-40 %იანი შეფერხების შემთხვევაში, მოიჯარე უფლებამოსილია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მეიჯარეს პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მის მიერ იმ პერიოდისათვის ასანაზღაურებელი თანხის 0,00115%-ის ოდენობით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობით შეატყობინებს "მეიჯარეს" აღნიშნულის თაობაზე და განუსაზღვრავს დაგვიანების აღმოფხვრისთვის მინიმუმ 3 (სამი) დღის ვადას. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, ,,მეიჯარისათვის" პირგასამტეხლოს დარიცხვა დაკისრება განხორციელდება მოცემული დამატებით განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდგომ.
5.4. მოიჯარის ვალდებულება:
5.4.1. მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს იჯარის თანხა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4.2. ხელშეკრულების მის (მოიჯარის) მიერ შეწყვეტის შემდეგ მეიჯარეს დაუბრუნოს საიჯარო ქონება, აუნაზღაუროს საიჯარო ქირა სრულად.
5.4.3. მოიჯარე ვალდებულია, ხელი შეუწყოს მეიჯარეს მზის ელ-სადგურის სახელზე რეგისტრირებული აბონენტის (დანართი #1) შეცვლასა და ამ მხრივ საჭირო დოკუმენტაციის შექმნასა და გაფორმებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.
5.5. მცირე ელექტროსადგურის ჩართვიდან საიჯარო ურთიერთობის დასრულებამდე მეიჯარე ახორციელებს სადგურის მონიტორინგს დისტანციურად ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მისვლით. ამისათვის მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს სადგურის წვდომა ინტერნეტთან, რათა ორივე მხარემ შეძლოს მუდმივი კავშირის ქონა სადგურის მონიტორინგის პროგრამასთან.

5.6. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, მეიჯარე პასუხისმგებელია საიჯარო ქონების ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე. ამასთან, მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ საიჯარო ქონების ნაწილობრივ ან სრულად დაზიანებისა და განადგურების რისკი სრულად წარმოადგენს მეიჯარის პასუხისმგებლობას.

5.7 მეიჯარე განახორციელებს საიჯარო ქონების დაზღვევას.

5.8. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან გათვალისწინებული ვალდებულებებიდ სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისთვის, თუ ეს სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფების საომარი მოქმედებების, ხანძრის, ხელისუფლების აქტების და სოციალური აფეთქებებით გამოწვეული დაუძლეველი ძალის შედეგია და თუ ეს მოვლენები დაიწყო და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. ამასთან, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს იმ დროის თანაზომიერად, რომლის განმავლობაშიც გრძელდებოდა ეს გარემოებები. თუ ეს გარემოებები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, ორივე მხარეს აქვს უფლება გააუქმოს ხელშეკრულება და არც ერთ მხარეს არ ექნება მოთხოვნა დანაკარგების ანაზღაურებაზე. ასეთ შემთხვევაში მიღებული შესრულებების უკუგების საკითხი წესრიგდება მხარეთა დამატებითი შეთანხმებით.

5.9. მეიჯარე აცხადებს და სრულად იღებს პასუხისმგებლობას, რომ მას მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა ან/და სხვა ყველა საჭირო დოკუმენტაცია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მზის ელექტროენერგიის სადგურების მონტაჟსა და შემდგომ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით და მოიჯარეს არ სჭირდება და რაიმე ტიპის დამატებითი ნებართვა ან/და ლიცენზია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტროსადგურების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული სარგებლისათვის.

6. დავის გადაჭრის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მხარეებს შორის წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს და გადაწყვეტს საერთო სასამართლოები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებანი

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მოიჯარისთვის იჯარის უფლების წარმოშობის მიზნით, ასევე შემდგომ ცვლილებისა თუ შეწყვეტის რეგისტრაციის მიზნით, მხარეები იჯარის უფლებას შესაბამისი წესით (საჭიროების შემთხვევაში) დაარეგისტრირებენ საჯარო რეესტრში.

8.2 ამ ხელშეკრულების პირობები, მათ შორის და არა მხოლოდ ფინანსური პირობები კონფიდენციალურია და მისი გამჟღვანება მხარეთა მიერ გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდგომ იცვლება გარემოებები, რის გამოც ხელშეკრულების განხორციელება ერთი ან მეორე მხარისათვის გართულდება ეკონომიკური, ტექნიკური ან სამართლებრივი თვალსაზრისით და რის გამოც შესრულება და საპირისპირო შესრულება მკვეთრად დისპროპორციულია, მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს იმგვარად, რომ მაქსიმალურად შემცირდეს მხარეთა ზიანი.

8.4. ხელშეკრულების რომელიმე პირობის კანონის ძალით ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს სხვა პირობების ავტომატურად ბათილობას.

8.5. მხარეთა შორის ნებისმიერ სახის შეთანხმება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით.

8.6 მხარეთა შორის ოფიციალური კომუნიკაციისთვის გამოიყენება მხოლოდ ამ ხელშეკრულებაში მითითებული ელ-ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი და მისამართი.

8.7 მხარეთა შორის არსებულ ნებისმიერი სახის ურთიერთობაზე ვრცელდება ქართული სამართალი.

8.8 წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) იდენტურ ეგზემპლიარად საიდანაც თითოეული ეგზემპლიარი გადაეცემა მხარეებს და ერთი ეგზემპლიარი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტისთვის გადაეცემა საჯარო რეესტრს.

8. მხარეთა რეკვიზიტები

მეიჯარე

შპს ,,ელსადგური" ს/ნ 405747063 **დირექტორი**

გოდერძი მამალაძე

პ/ნ 01026015571

საბანკო რეკვიზიტები:

ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი"
ანგარიშის ნომერი
GE31LB0113183560360001;

ტელ: +9955 77 717 987

ელ:ფოსტა
godumamaladze@gmail.com

/ _____/

მეიჯარე

სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი"
(საიდენტიფიკაციო ნომერი: 212674738

თამარ შაგიძე

/ _____/

დანართი N1

მცირე სიმძლავრის მზის ელ-სადგურის მოხმარების ობიექტების ჯგუფი

N	სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი	აბონენტის ნომერი	მისამართი (მიუთითეთ საკადასტრო კოდიც)	საბანკო რეკვიზიტები	გამანაწილებელ ქსელთან მისაერთებელი სიმძლავრე	მიკროსიმძლავრის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გაქვითვისა და კრედიტის გადანაწილების წილობრივი მაჩვენებელი (შეთანხმების არსებობის შემთხვევაში)
1	ობიექტი						პრიორიტეტი 1
2	ობიექტი						პრიორიტეტი 2

მზის ელ-სადგურის საპროგნოზო წარმოება 2024 წლის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საპროგნოზო ბალანის მიხედვით

დადგმული სიმძლავრე (კვტ DC)		569.16
თვე	გენერაცია P75	
Jan	40,335.50	კილოვატ საათი
Feb	46,417.32	კილოვატ საათი
Mar	70,033.74	კილოვატ საათი
Apr	86,556.35	კილოვატ საათი
May	83,161.98	კილოვატ საათი
Jun	100,803.21	კილოვატ საათი
Jul	95,584.30	კილოვატ საათი
Aug	95,709.68	კილოვატ საათი
Sep	80,950.41	კილოვატ საათი
Oct	56,381.24	კილოვატ საათი
Nov	51,777.42	კილოვატ საათი
Dec	38,945.37	კილოვატ საათი
Total	**846,656.51**	კილოვატ საათი
1kW Gen.	**1,487.55**	